მიტროპოლიტი ილარიონი: მთავარი ზოგადსაეკლესიო ამოცანა – ჩვენი ერთობის განმტკიცებაა

ანტიკანონიკური, ბოროტმოქმედებითი ქმედება კონსტანტინეპოლის პატრიარქის ბართლომეოსისა უკრაინის საკითხში, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლობის გამყოფია, სწორედ ეს დაასახელა მთავარ გამოწვევად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საქმიანობის სფეროში ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, უპასუხა რა პროგრამა „ეკლესია და მსოფლიო“-ის წამყვანის ეკატერინე გრაჩევას შეკითხვას.

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ აღნიშნა: „რის წინაშეც ჩვენ აღმოვჩნდით 2018 წელს, სწორედ ამან გაყო მთელი მართლმადიდებელი ეკლესია. ეს განხეთქილება ღრმავდება კონსტანტინეპოლის პატრიარქის მოქმედებების გამო“.

„ეს დიდი ტრაგედიაა, მაგრამ, როგორც მე არა ერთხელ უკვე მითქვამს, ეს არის განხეთქილება, რომელიც ვრცელდება ჩვენი ეკლესიის საზღვრებს მიღმა, – აღნიშნა სსკგ-ს თავმჯდომარემ. – ჩვენ

ვწუხვართ ამის გამო. ჩვენ ვლოცულობთ პატრიარქ ბართლომეოსზეც, და სხვა იერარქებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ განხეთქილებაში ან მხარი დაუჭირეს მას, მაგრამ ჩვენ ვმადლობთ უფალს იმისთვის, რომ ჩვენს ეკლესიას განხეთქილება არ შეეხო“.

„ჩვენი ეპისკოპატი რუსეთშიც, უკრაინაშიც, ბელორუსიაშიც, მოლოდოვეთშიც, და სხვა ქვეყნებში, შედიან რა ჩვენს კანონიკურ სივრცეში და მის საზღვრებს გარეთ, ერთსულოვანია, სოლიდარულია, – აღნიშნა მიტროპოლიტმა ილარიონმა. – მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენს ეკლესიას არ დაუკარგავს თავისი კანონიკური ტერიტორიის რომელიმე ნაწილი; ჩვენ არ დაგვიკარგავს არცერთი ტაძარი, იმათ გარდა, რომლებიც ძალადობით იქნა მიტაცებული უკრაინელი სქიზმატებისგან, თუმცა იქაც აშენდა უკვე მრავალი ახალი ტაძარი“. გარდა ამისა, შეახსენა სსგკ-ს თავმჯდომარემ, 2019 წელს ერთობა აღდგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ რუსული ტრადიციების დასავლეთ ევროპის სამთავარეპისკოპოსოს სამრევლოებთან, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

„ჩვენი მთავარი ზოგადსაეკლესიო ამოცანა – ჩვენი ერთობის განმტკიცებაა“, – დარწმუნებულია იერარქი. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ მის მმართველობაში მყოფი საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების უმნიშვნელოვანესი ამოცანა – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა საზღვრების დაცვა და მის მემკვიდრეობაზე, – რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა, – ხელყოფის დაუშვებლობაა.

„ის რაც ჩვენი ეკლესიის საზღვრების გარეთ ხდება, რჩება იმ ხალხის სინდისზე, რომლებიც ანტიკანონიკურ საქმიანობას ასრულებენ. ამ საქმიანობამ უკვე აქ შეარცხვინა ისინი და, რა თქმა უნდა, მომავალ საუკუნეში მათ მოუწევთ ამაზე პასუხისგება“, – ბრძანა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87797/